




















+18.20
0.00
-3.10

მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ. №113ა

(წინასაპროექტო არქიტექტურული კვლევა)

საპროექტო ტერიტორია ახალი კუკიის ტერიტორიაზე, ყოფილი ელისაბედის (წინამძღვრიშვილის) ქუჩაზე, კონსტიტუციისა და ტოვსტონოგოვის ქუჩებით მოსაზღვრულ მონაკვეთში, მდებარეობს.



წინამძღვრიშვილის ქ. №113ა.

ჩვენთვის საინტერესო უბნის ჩამოყალიბება XIX საუკუნის შუა პერიოდიდან დაიწყო - მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გაშენებულ ახალ რაიონში კუკიიდან დიდუბემდე გამოიკვეთა ქალაქის კიდევ ერთი მთავარი არტერია – მიხეილის (დღევანდელი აღმაშენებლის) პროსპექტი. მისი პარალელური და გადამკვეთი ქუჩების ქსელიც მალე ჩამოყალიბდა. XX საუკუნის პირველ ათწლეულში ახალი უბნის განაშენიანებამ ურბანულად კარგად ჩამოყალიბებული სახე მიიღო, რომელიც დღემდე თითქმის უცვლელად არის შემორჩენილი. შეიძლება

ითქვას, რომ ეს ძველი თბილისის ყველაზე რეგულარულად დაგეგმარებული ნაწილია – მოზრდილი კვარტალები მოქცეულია ურთიერთგადამკვეთ ქუჩებს შორის, რასაც ხელი შეუწყო ადგილის სწორმა რელიეფმა. იმთავითვე რეგულარული იყო წინამძღვრიშვილის ქუჩის განაშენიანების გეგმარებითი საფუძველი - აქაც კვარტლები სწორხაზოვნად არის დაგეგმარებული. ქუჩის განაშენიანებაში, ასევე, საგულისხმოა მისი თავდაპირველი მახასიათებლების უცვლელობა.



1867 წლის თბილისის რუკა.



1902 წლის თბილისის რუკა.

1867 წლის რუკაზე აღნიშნული მიკროუბანი სწორ ნაკვეთებად არის დასაზღვრული. ელისაბედის ქუჩის კენტი ნომრების მხარე, სადაც საპროექტო ტერიტორია მდებარეობს, უკვე განაშენიანებულია - ჩვენთვის საინტერესო ნაკვეთზე განლაგებულია ნაგებობები, მასთან ახლოს არის საარტილერიო დივიზიის შენობები და სასწავლო მოედანი. ქუჩის ლუწი ნომრების მხარე ახალმოსახლე გერმანელების ბაღებით არის დაფარული. 1867 წლის რუკაზე ტატიანას (დღევანდელი ტოვსტონოგოვის) ქუჩის, მხოლოდ ზედა მონაკვეთია გაკვალული მაშინ, რომელიც 1902 წლის რუკაზე ის მიხეილის პროსპექტთან იწყება და ნიკოლოზის (დღევანდელი ჯავახიშვილის) ქუჩამდე აღწევს. ელისაბედის ქუჩის ქვემოთ ჯერ ისევ ბაღებია. არც ფრეილინას (დღევანდელი კონსტიტუციის) ქუჩაა ჩამოყალიბებული – ეს ერთიანი, ვრცელი, სწორკუთხად დაგეგმარებული ტერიტორიაა მასზე განლაგებული მთავარი და დამხმარე შენობებით, რომელთა შორის არის დღევანდელი საპროექტო ნაკვეთიც.

1902 წლის რუკაზე განაშენიანება ჩამოყალიბებულია უკვე ქუჩის ორივე მხარეს. ფრეილინას ქუჩაც გაკვალულია – მის გადაღმა დარჩა ორი მოზრდილი შენობა - კავკასიის პირველი ბატალიონის საარტელერიო ბრიგადის ყაზარმების მოზრდილი ნაგებობები (აღნიშნულია 271)., ხოლო მომცრო ნაგებობები, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო ნაკვეთი ქუჩის აქეთ მოექცა. ფრეილინასა და ელისაბედის ქუჩების შესაყართან აშენდა X საპოლიციო უბნის განყოფილება (აღნიშნულია 270-ით). იქვე – ფრეილინას ქუჩის მეორე მხარეს, დაახლოებით, საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირედ მდგარა კავკასიის II სამხედრო კორპუსის შენობა.



წინამძღვრიშვილის ქ. №128 და №126 – შენობები საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეს.



წინამძღვრიშვილის ქ. №107 – მაღლივი კორპუსი.

წინამძღვრიშვილის ქუჩის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის განაშენიანების სტრუქტურა სივრცობრივად კარგად არის ორგანიზებული - ქუჩის განაშენიანების მასშტაბი და შენობების ისტორიული სახე მეტ-ნაკლებად შენარჩენებულია, თუმცა არის განსაკუთრებით უხეში ჩარევის მაგალითი - ტოვსტონოგოვის ქუჩის კუთხესთან ბოლო წლებში აგებული (წინამძღვრიშვილის ქ. №107) უსახური, მაღლივი კორპუსი, შეუსაბამო მასშტაბითა და გაუაზრებელი არქიტექტურით. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედაც - წინამძღვრიშვილის ქ. №115-ის ეზოს სიღრმეშიც დგას უსახური შენობა, რომელიც მიუხედავად კვარტალშიდა განაშენიანებაში მდებარეობისა, მაინც იჭრება ქუჩის სივრცით სტრუქტურაში, რასაც გარკვეულწილად განაპირობებს მის წინ მდგარი დაბალსართულიანი შენობები.



საოროექტო ტერიტორია და სახლიწინამძღვრიშვილის ქ. №115-ის ეზოს სიღრმეში.



კიდევ წინამძღვრიშვილის ქ. №113. დე

წლის ყოს ამეყდა – სახლი ოთხ სართულიანია და სახურავით აეკეთებინა


ქუჩის განაშენიანებას. სწორკუთხა მოცულობებით და ლითონის აივნებით დანაწევრებული ფასადი მუქი ფერის აგურის ფაქტურის მქონე ფილებით არის მოპირკეთებული. თაღოვანი ღიობებით დანაწევრებული პირველი სართული, როგორც ჩანს, აქ ადრე მდგარი ერთსართულიანი სახლის თაღედის რეპლიკას წარმოადგენს, თუმცა იმიტაცია რამდენადმე ბუტაფორიულია.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ძველი შენობები XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩვენში რუსეთსა და ევროპიდან შემოსული ხუროთმოძღვრული სტილების და ადგილოვრივი ტრადიციების გავლენით შემუშავებული არქიტექტურის ნიმუშებია – ფსევდო კლასიცისტური არქიტექტურული პროფილებით გაფორმებული ფასადებით, რომლებიც ეპოქის მხატვრული გემოვნების გამომხატველია. ფასადები დანაწევრებულია ღიობების თანაბარი რიტმით. კარ-ფანჯრა გაფორმებულია პროფილებით, ფრონტონისებრი და ნახევარწრიული, ან სანდრიკებიანი თავსართებით და სხვა. კედლის სიბრტყეები კი რუსტებით არის შევსებული – ამის მაგალითია წინამძღვრიშვილის ქ. №128 და №126 სახლები.

საპროექტო ტერიტორიის გვერდით მდებარე სახლი №115 ერთ-ერთი სიძველით გამორჩეული შენობაა – კარნიზიანი ფანჯრები მის სიძველეზე მიუთითებს - სწორკუთხა საპირეში ჩასმული თაღოვანი ფანჯრის ღიობები, რომელიც ზემოთ საგანგებო კარნიზით არის დაგვირგვინებული, რასაც ემატება ჩაღრმავებული სწორკუთხა არეები ფანჯრების ქვემოთ შედარებით ნაკლებ გავრცელებული იყო. შენობა ძველი აგურით არის ნაშენი და დაფარულია ძალიან ხარისხიანი ლესვით, რაც ასევე სიძველეზე მიუთითებს. ფასადი დენტილუკებიანი კარნიზითა და მაღალი პარაპეტით სრულდება, რომელიც პროფილირებულ ჩანართებში ჩართული სწორკუთხა და შეკიბული არეებით არის გაფორმებული. სახლი, როგორც ჩანს ძველადვეა რეკონსტრუირებული, რომლის დროსაც დაემატა პროფილებითა და დენტიკულებით გაფორმებული კარნიზი და პარაპეტი, რომლის აგურის წყობა განსხვავებულია. ამ პერიოდშივე უნდა იყოს შელესილი. სახლი ქუჩის წითელ ხაზზე დგას. ფასადი სადარბაზოს ერთი კარითა და ფანჯრის სამი ღიობით იხსნება ქუჩისკენ.



წინამძღვრიშვილის ქ. №115.



კარნიზიანი სარკმლის ნიმუში – ვ. ბერიძის წიგნიდან
“თბილისის ხუროთმოძღვრება - 1801-1917 წლები”, ტ. I, გვ.111.

საპროექტო ნაკვეთზე განლაგებული ერთსართულიანი შენობები ქუჩის წითელ ხაზს გასდევს. ეზო კი ქუჩას დიდი ჭიშკრით უკავშირდება. ტერიტორია თავდაპირველად წარმოადგენდა საარტელერიო ბრიგადის ყაზარმების კუთვნილებას, სადაც დამხმარე შენობები იყო თავმოყრილი, შემდგომში ის სხვადასხვა დამიშნულებით დამოიყენებოდა. დღეს აქ ღირებული შენობები არ არის – 850კვ/მ. ნაკვეთზე რამდენიმე ერთსართულიანი, მწყობრიდან გამოსული დამხმარე ნაგებობა დგას და არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს არქიტექტურულ ღირებულებას და მათი დემონტაჟი დასაშვებია.



საპროექტო ტერიტორია.



დასკვნა და რეკომენდაციები

საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია წინამძღვრიშვილის ქ. №113ა-ში მდებარე ტერიტორიაზე არსებული დამხმარე ნაგებობების დემონტაჟი და მათ ადგილზე ახალი, რამდენიმე სართულიანი შენობის აგება.

აქ განლაგებულ შენობებს, რომლებიც დამხმარე ნაგებობებს წარმოადგენდა, არქიტექტურული ღირებულება არ გააჩნია და მათი დემონტაჟი დასაშვებია.

საპროექტო ტერიტორია მოქცეულია მცირემასშტაბიანი საცხოვრებელი სახლებითა და ბოლო პერიოდის, ოთხ-ხუთ სართულიანი შენობებით მოშენებულ არეალში. სამომავლო პროექტირებისას გასათვალისწინებელია ურბანული გარემოს გეგმარებით და სივრცითი თავისებურებები. პირველ რიგში, მხედველობაშია მისაღები უბნის საერთო და მიმდებარე შენობების მასშტაბი და გემარებითი კონფიგურაცია.

აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი შენობის აგებისას მისაღებია თანამედროვე არქიტექტურული პრინციპების გამოყენება, თუკი არ დაირღვევა განაშენიანების საერთო სიმაღლე და მასშტაბი (სიმაღლემ არ უნდა გადააჭარბოს გვერდით მდგომი №113 სახლის სიმაღლეს). სიგრძივად განვითარებული ეზო იძლევა შენობის, ან შენობების თავისუფლად დაგეგმარების და იმგვარად განთავსების საშუალებას, რომ შენარჩუნდეს შიდა ეზო და მისი ფუნქციური დატვირთვა, რაც მნიშვნელოვანია უბნის განაშენიანების ხასიათიდან გამომდინარე. უნდა განისაზღვროს ადგილები მწვანე ნარგავებისთვის. კეთილმოეწყოს ინფრასტრუქტურა და ყურადღება უნდა მიექცეს მიწისქვეშა კომუნიკაციებს. ასევე, შენობის წინ გზის ფეხით სავალი ნაწილის კეთილმოწყობა.

შენობის პროექტიტებისას მნიშვნელოვანია სივრცეში მასების განაწილებისის პრინციპის დაცვა. გათვალისწინებელი უნდა იყოს ნაგებობის გეგმარებითი და სივრცითი კონტექსტი.

საპროექტო ტერიროორიაზე არსებული შენობების დემონტაჟმა, შესაძლებელია გვერდით მდებარე №115 სახლის დაზიანება გამოიწვიოს. შესაბამისად საჭირო იქნება ამ უკანასკნელის გამაგრება.

ხელოვნებათმცოდნე

მარინა ხატიაშვილი